საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2025

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

15.04.2026
www.geostat.ge

15.04.2026

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2025 წელი

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

ერთწლიანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2025 წელს ხორბლის წარმოებამ 143.7 ათასი ტონა შეადგინა, რაც 3.6 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 24.8 პროცენტით გაიზარდა და 60.4 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 200.2 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 5.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. კარტოფილის წარმოება 6.1 პროცენტით შემცირდა და 207.9 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2025 წლის განმავლობაში წარმოებულია 146.3 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 8.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების წარმოება 2016-2025 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის წარმოება 2016-2025 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება 2016-2025 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

2025 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები შემცირდა. გაიზარდა სიმინდის და ქერის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.9 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ - 2.7 ტონა/ჰა, სიმინდის - 3.1 ტონა/ჰა, კარტოფილის - 14.5 ტონა/ჰა, ბოსტნეულის - 10.6 ტონა/ჰა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2016-2025 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 2016-2025 წლებში
(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა 2016-2025 წლებში
(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

15.04.2026

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები

წინასწარი მონაცემებით, 2025 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 184.3 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 3.8 პროცენტით ჩამორჩება. საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა 1.3%-ით და შეადგინა 60.4 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა 4.9%-ით და შეადგინა 123.9 ათასი ჰექტარი.

ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი სიმინდს უკავია, რომლის ნათესმა ფართობმა 65.3 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 49.4 ათასი ჰექტარი იყო, ქერის - 24.0 ათასი ჰექტარი, კარტოფილის - 14.3 ათასი ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების - 10.3 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის - 10.8 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი კულტურების ჯამური ნათესი ფართობი 10.2 ათას ჰექტარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა კულტურების მიხედვით.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა, 2025* წელი



*წინასწარი მონაცემები.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2025 წელს ქვეყანაში წარმოებულია 205.6 ათასი ტონა ხილი (ყურძნისა და ციტრუსის გარდა), რაც 15.6 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. რაც შეეხება ხილის განაწილებას სახეობების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში წარმოებულია 72.3 ათასი ტონა თესლოვანი ხილი (19.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე), ასევე 53.3 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (30.5 პროცენტით ნაკლებია), 53.9 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (2.7 პროცენტით მეტია), 17.4 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (1.2 პროცენტით მეტია) და 8.7 ათასი ტონა კენკროვანი ხილი (16.0 პროცენტით მეტია).

გარდა ზემოთქმულისა აღსანიშნავია, რომ 2025 წელს წარმოებულია 347.4 ათასი ტონა ყურძენი, რაც 8.3 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და 55.0 ათასი ტონა ციტრუსი, რაც 0.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2025 წლებში.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2025 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული ხილის წარმოება 2016-2025 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2025 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 16 ივნისს.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge